პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 69 (4839)

1973 წ. 8 აპრილი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სსრ კავშირის პირველობა

„ა" კლ. I ჯგუფი

გოლი წუთებში გადაწყდა

ნიკოლაევის „სპარტაკმა" სწორად შეაფასა წინადღის წაგების მიზეზები და გუშინწინ, განმეორებითს მატჩში, რევანშის წყურვილით გამოვიდა სარბიელზე. თბილისის „ბურევესტნიკი", პირიქით, იოლი გამარჯვების შთაბეჭდილების ქვეშ იყო და ვერ შეძლო ძალების სრული მობილიზაცია. მოდუნებული ყურადღება და თვითდამშვიდება ცუდი მოკავშირეა ბრძოლაში, მით უმეტეს ისეთი მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტის დროს, როგორიცაა ჯგუფში დარჩენა.

„სპარტაკმა" თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და თბილისელთა ფარზე მეთოდური დაწოლით ბრძოლა ხელსაყრელი რიტმით წარმართა. „ბურევესტნიკი" ერთხანს მშვიდად იყო — მატჩის დამთავრებამდე დრო ბევრი ჰქონდა და საკუთარ ძალებში დაჯერებული ელოდა თავის რიგს. პირველი ტაიმი თვალსა და ხელს შუა გაიპარა ისე, რომ მასპინძლებმა ერთხელაც ვერ შეძლეს დაწინაურება.

შესვენების შემდეგ ცხადი გახდა, რომ პასიური ბრძოლით, ისე, სხვათა შორის, სპარტაკელთა საბრძოლო ჟინის გატეხვა ძნელი იქნებოდა. საჭირო შეიქნა თამაშის გარდაქმნა და, პირველ ყოვლისა, დაცვის ხაზების გამაგრება, ვინაიდან სტუმრები დაუბრკოლებლად ბომბავდნენ კალათს საშუალო დისტანციიდან. თბილისელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და პირველი ტაიმის ექვსქულიანი პასივი (36:42) სულ მალე მინიმუმამდე დაიყვანეს, 25-ე წუთიდან კი უკვე მასპინძლები დაწინაურდნენ. ეს იყო გარდატეხის მომენტი, რომელმაც საბოლოოდ შეატრიალა ბრძოლის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ.

და მაინც, ბოლო მომენტამდე ძნელი სათქმელი იყო, ვის დარჩებოდა გამარჯვება. თბილისელებმა ენერგიულად ჩაატარეს ენდშპილი და სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერეს — 81:78.

ნ. ახვლედიანი.

მატჩი №13

მოსკოვი, 6 აპრილი. ჰოკეიში ნატის დღევანდელი, რიგით მე-13 მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატის მატჩი (გფრ — პოლონეთი) ერთობ პრინციპული იყო: გამარჯვებულ გუნდს საგაისოდ „ა" ჯგუფში ადგილის შენარჩუნების კარგი შანსი უჩნდებოდა. პირველ წრეში ბედმა გერმანელებს გაუღიმა, რომლებმაც გაიმარჯვეს — 4:2 (1:2, 2:0, 1:0).

შაიბები გაიტანეს: გერმანელთაგან — კიუნჰაკლმა (2), ფილიპმა და აიმანბერგერმა, პოლონელთაგან — ლ. ტოკაჟმა და იასკერსკიმ.

ანდრიანოვის იღბლიანი სტარტი

რიგა, 6 აპრილი. ადგილობრივ სპორტის სასახლეში დღეს დაიწყო 18 ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ლიდერობა ხელთ იგდო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნ. ანდრიანოვმა. ცნობილი საბჭოთა სპორტსმენის გამოსვლები მსაჯებმა ასე შეაფასეს: ძელძი და ტაიჭი — 9,5 ქულა, თავისუფალი ვარჯიში — 9,3.

მიმდინარე შეჯიბრება ოლიმპიური თამაშების შემდეგ ტანმოვარჯიშეთა პირველი დიდი ასპარეზობაა. ამიტომ ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელები ცდილობენ სახელმოხვეჭილ ჩემპიონთა მხარდამხარ ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში გამოაწრთონ ახალგაზრდა სპორტსმენები. რიგაში 80-ზე მეტი ტანმოვარჯიშე ასპარეზობს.

ვაჟთა შეჯიბრება გვიან საღამოს დამთავრდა. 7 აპრილს გამოვლინდება ქალთა მრავალჭიდში გამარჯვებული, კვირას კი ცალკეულ იარაღებზე გათამაშდება პირველობა.

ტანვარჯიში

ტონი ზაილერი სიტყვის კაცია

წლევანდელი ზამთრის სეზონის დასაწყისში, როცა სამთოსათხილამურო სპორტში მსოფლიო თასების მორიგი გათამაშებისთვის ავსტრიელთა მზადებაზე ვწერდით, აღვნიშნეთ, რომ ლეგენდარულმა ტონი ზაილერმა, რომელიც 15 წლის „შესვენების" შემდეგ დიდ სპორტს დაუბრუნდა და სათავეში ჩაუდგა ამ ქვეყნის ნაკრებს, თქვა: ჩვენი გუნდები მსოფლიო მნიშვნელობის ყველა თასს დაისაკუთრებენო.

ზაილერის ეს განცხადება უსაფუძვლო როდი იყო. მან და მისმა თანაშემწემ კ. კარმა ძვირფასი ჯილდოების ხელში ჩასაგდებად სპორტსმენთა მზადება თასების წინა გათამაშების დამთავრებისთანავე დაიწყეს და წვრთნაში უამრავი სიახლეც გამოიყენეს.

მართლაც, პირად-გუნდურ ჩათვლაში თავიდანვე ავსტრიელები დაწინაურდნენ. ქალებმა ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნეს და კარის აღმოჩენილმა ა. პრიოლმა მსოფლიო თასი მესამედ ვადამდე მოიპოვა. ქალთა ნაკრებმა 901 ქულა მოაგროვა და II ადგილზე გასულ ფრანგებს 417 ქულით გაუსწრო. III ადგილი გფრ-ის გუნდს ხვდა — 282.

ვაჟთა პირად ტურნირში სურათი ხშირად იცვლებოდა. ჯერ ავსტრიელები ლიდერობდნენ, მერე — შვეიცარიელები, ბოლოს ტურნირს სათავეში ამ თასის ორგზის მფლობელი, იტალიელი გ. ტონი ჩაუდგა. გუნდურ შეჯიბრებაში ავსტრიელებს არც აქ ჰყავდათ ბადალი: მათ 638 ქულა მოაგროვეს და გაიმარჯვეს. II ადგილზე გავიდნენ იტალიელები (517 ქულა), III კი შვეიცარიელები — 450.

რაც შეეხება საერთო ჩათვლას, ცხადია, ავსტრიელებმა აქაც ყველას აჯობეს. მათ საბოლოოდ 1539 ქულა მოაგროვეს და „ერების თასიც" მოიპოვეს. ავსტრიელებმა ფრანგებს, რომლებიც საერთო გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე არიან, 825 ქულა მოუგეს. იტალიელები III ადგილზე გავიდნენ — 517 ქულა.

რა მოსდით თბილისელ დინამოელებს?

კვლავ უსიამოვნო ამბავი მოვიდა ლენინგრადიდან, სადაც უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი მიმდინარეობს. გუშინწინ თბილისის დინამოელები კიეველ თანაკლუბელებს შეხვდნენ და კვლავ დამარცხდნენ, ამჯერად ანგარიშით 2:4.

რა მოხდა? ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები კარგად ვერ მოემზადნენ ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობისთვის თუ არის სხვა მიზეზიც? ერთიც და მეორეც. დიდი ხანია დღის წესრიგში დგას ჩვენი წყალბურთელების ნორმალური წვრთნის საკითხი. რესპუბლიკის სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზში საქართველოს პირველ გუნდს საკმაო დრო როდი აქვს, რომ დიდი ასპარეზობის წინ დღეში ორჯერ ივარჯიშოს, როგორც ვარჯიშობენ, ვთქვათ, ფეხბურთელები, კალათბურთელები, სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები. ამაზე ბევრი დაიწერა, ბევრი საყვედურიც გამოთქვეს წყალბურთელებმა, მაგრამ საქმის მოგვარებას საშველი არ დაადგა.

არის სხვა მიზეზიც. ლვოვის „დინამოსთან" პირველივე მატჩში თბილისელთა ლიდერი ვ. ისელიძე სერიოზულად დაშავდა, თვალი იტკინა და ექიმებმა სათამაშოდ გამოსვლა აუკრძალეს. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩვენი დინამოელები ორი ბურთით იყვნენ წინ.

„ბალტიკამ" დაამარცხა ლვოვის „დინამო" — 8:3.

ბაქოს ჯგუფში უხვმოსავლიანი გამოდგა ვოლგოგრადის „სპარტაკისა" და ალმა-ათის „დინამოს" მატჩი. შეხვედრამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 6:6. მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა სძლია თანაქალაქელ მეზღვაურებს — 6:3.

გათამაშებას ლიდერობს სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი — მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი, რომელსაც სამი მატჩიდან ქულათა მაქსიმუმი აქვს — 6.

წყალბურთი

ახალი სახელები

ანვარ მელქაძე ჭერჭერობით რაგულინს ჰბაძავს

მოსკოვის „ლოკომოტივის" მცველი ანვარ მელქაძე ცამეტი წლისაა, მაგრამ ყინულის მოედანზე ბევრით არაფრით განსხვავდება თავისი თექვსმეტი წლის პარტნიორებისგან.

ლიდერები — ცსკა და „ლოკომოტივი" მორიგ მატჩში ხვდებიან ერთმანეთს.

გახურდა თამაში. გინდა არ გინდა, ანვარ მელქაძე პირველივე წუთებიდან მთელს ყურადღებას თავისკენ იქცევს. კარგი ინდივიდუალური ოსტატობა, დიდი სისწრაფე, ზუსტი გადაცემისა და მძლავრად დარტყმის უნარი — აი, რით გამოირჩევა ანვარი.

ერთი შეხედვით, ანვარი თამაშით მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს ალექსანდრე რაგულინს მოგვაგონებს. ამასთან, ანვარი თითქმის გამუდმებით მოედანზეა: როცა ხუთეული თამაშობს, როცა მოთამაშე აკლიათ, როცა, უბრალოდ, არმიელთა იერიშის შეკავებაა საჭირო. ანვარმა მოედანზე მატჩის თითქმის სამი მეოთხედი გაატარა, მაგრამ გარეგნულად არაფერი ეტყობა.

მატჩის შემდეგ მან სინანულით ჩაიქნია ხელი:

— არ გამოგვივიდა თამაში, მოგებაც შეგვეძლო. ჰოკეიში მესამე წელია ვვარჯიშობ მწვრთნელ ვოიკოს ხელმძღვანელობით. მან მიმიღო ჭაბუკთა გუნდში. ძალიან მიყვარს ფეხბურთიც, რვა წლიდან „სპარტაკის" სპორტულ სკოლაში ვმეცადინეობ.

ანვარს არ უთქვამს, რომ იგი ფეხბურთშიც ერთ-ერთი საუკეთესოა 1959 წელს დაბადებულ მოსკოველ ბიჭებში — ცენტრალური მცველია, გუნდის კაპიტანი. მისი შედეგიანობა ყველა თავდამსხმელს შეშურდებოდა: ანვარს თითქმის ყველა მატჩში ორი-სამი გოლი გააქვს...

ზ. ბიჩევსკი.

(„მოსკოვსკი კომსომოლეცი").

ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის წინ ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა გუნდისთვის ზბრასლავის საწარმო ოპუს-მა ახალი ხელთათმანები გამოუშვა. ყოველი წყვილი 160 დეტალისგან შედგება, 200 გრამით მსუბუქია უწინდელზე და თან ძალიან საიმედოა.

• • •

სურათზე: საწარმოს ხელმძღვანელი დ. ინდრაკი ხელთათმანის ხარისხს ამოწმებს.

ჩტკ — საკდესის ფოტო.

სამოყვარულო ჰოკეი სუფთა დარჩა

კანადის პროფესიონალებთან მატჩების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებმა რაღაც უთუოდ გადმოიღო ოკეანისგაღმელ ჰოკეისტთა არსენალიდან, — თქვა აშშ-ს სამოყვარულო ჰოკეის ასოციაციის დირექტორმა შ. ტრამბლმა, რომელიც მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატს ესწრება. — ეს „რაღაც" გახლავთ უფრო მკვეთრი და მძლავრი ტყორცნა, ნებისმიერი მდგომარეობიდან მიზანში მოხვედრისკენ სწრაფვა".

მაგრამ კანადელებს მარტო საბჭოთა ჰოკეისტები როდი ხვდებოდნენ. მათთან ითამაშეს შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმაც. შედეგად, ზემოხსენებული გავლენა თითქმის ყველას შეეხო. ამასთან, — აღნიშნა ტრამბლმა, — ევროპული ჰოკეი პროფესიონალებთან შეჯიბრების შემდეგაც სუფთა დარჩა — მსოფლიო ჩემპიონატის პირველივე მატჩებმა გვიჩვენა, რომ მოთამაშეებიდან არავის მიუწევს გული ჰუკჰაიანი, უხეში მანერისკენ, რაც ასე ახასიათებს პროფესიონალთა გუნდებს.

მოსკოვის ჩემპიონატში ამერიკელი მსაჯების კურატორის როლს ასრულებს. ყოველი სამი დღის შემდეგ იგი სემინარს ატარებს მსაჯებთან, სადაც უხსნის მათ თამაშის დროს დაშვებულ შეცდომებს, განუმარტავს წესებს. ჩემპიონატამდე ჩატარდა არბიტრთა სპეციალური სემინარი რამდენიმე „სადავო" საკითხის გასარკვევად.

— უნდა აღვნიშნოთ მოსკოვის ჩემპიონატის ბრწყინვალე ორგანიზაცია, — თქვა ტრამბლმა. — არც ერთხელ არ გამჩენია რაიმე პრეტენზია ან შეკითხვა ტურნირის მომწყობთა მიმართ. ყველაფრიდან ჩანს, რომ ასეთმა სასიამოვნო ატმოსფერომ თვად ჰოკეისტებზეც იმოქმედა. მატჩების უმეტესობა კორექტულად ტარდება. სპორტსმენები ცდილობენ მაყურებელს მთლიანად უჩვენონ, რაც შეუძლიათ, ამით ისინი ერთგვარად მადლობას უხდიან მოსკოველ მაყურებლებს ესოდენ დიდი ყურადღებისთვის.

ვ. კუკუშკინი.

(საკდესის კორ.).

მოსკოვი, 5 აპრილი.



გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურულ კოლექტივს კარგი ტრადიციები აქვს. აქ კარგად იციან, რომ ამ ტრადიციების შენარჩუნებისა და განმტკიცებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას. ამიტომაც ამ სასარგებლო საქმიანობაში თითქმის ყველა სტუდენტი ჩაება.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ძიუდოში მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სტუდენტი შ. ჩოჩიშვილი ძელზე მიზიდვაში აბარებს ნორმატივს; დაწყებითი განათლების ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის კომპლექსში ვარჯიშის დროს.

ყველა სტუდენტი — მშდ კომპლექსის სტარტზე

ევროპის რეკორდები

ცურვა

1973 წლის 8 აპრილისთვის

50-მეტრიანი აუზებისთვის

დისტანცია	შედეგი	რეკორდსმენი	წელი
		ქალები	
თავისუფალი სტილი			
100 მ	59,2	ზ. ვეცკო (გდრ)	1972
200 მ	2.06,3	ა. აიფე (გდრ)	1972
400 მ	4.22,4	ნ. კალიგარისი (იტალია)	1972
800 მ	8.57,5	ნ. კალიგარისი (იტალია)	1972
ესტაფეტა			
4×100 მ	3.55,5	გდრ-ის ნაკრები	1972
ბრასი			
100 მ	1.14,7	გ. სტეპანოვა (სსრ კავშირი)	1971
200 მ	2.40,7	გ. სტეპანოვა (სსრ კავშირი)	1970
ბატერფლაი			
100 მ	1.03,6	რ. ბაიერი (გდრ)	1972
200 მ	2.17,1	რ. კოტერი (გდრ)	1972
გულაღმა			
100 მ	1.06,3	ა. დიარმატი (უნგრეთი)	1972
200 მ	2.23,3	ა. კოზერი (გფრ)	1972
კომპლექსური			
200 მ	2.23,6	ა. ენდერი (გდრ)	1972
400 მ	5.04,0	ნ. კალიგარისი (იტალია)	1972
კომბინირებული ესტაფეტა			
4×100 მ	4.24,9	გდრ-ის ნაკრები	1972
		ვაჟები	
თავისუფალი სტილი			
100 მ	51,8	ვ. ბურე (სსრ კავშირი)	1972
200 მ	1.53,4	გ. ლარსონი (შვეცია)	1972
400 მ	4.02,6	გ. ლარსონი (შვეცია)	1970
1500 მ	16.16,0	ბ. ბინგსიო (შვეცია)	1972
ესტაფეტა			
4×100 მ	3.29,7	სსრ კავშირის ნაკრები	1972
4×200 მ	7.41,7	გფრ-ის ნაკრები	1972
ბრასი			
100 მ	1.05,8	ნ. პანკინი (სსრ კავშირი)	1969
200 მ	2.23,7	დ. უილკი (დიდი ბრიტანეთი)	1972
ბატერფლაი			
100 მ	55,7	რ. მათესი (გდრ)	1971
200 მ	2.03,3	მ. ფასნაკტი (გფრ)	1971
გულაღმა			
100 მ	56,3	რ. მათესი (გდრ)	1972
200 მ	2.02,8	რ. მათესი (გდრ)	1972
კომპლექსური			
200 მ	2.07,2	გ. ლარსონი (შვეცია)	1972
400 მ	4.32,0	გ. ლარსონი (შვეცია)	1972
კომბინირებული ესტაფეტა			
4×100 მ	3.52,1	გდრ-ის ნაკრები	1972

დრო მოითხოვს!

საშუალო სპეციალური ფიზკულტურული განათლების ერთი სერიოზული საკითხის გამო

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად შეიქმნა ფიზკულტურული კადრების მომზადების საბჭოური სისტემა, სადაც ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი საშუალო სპეციალურ განათლებას უკავია. სსრ კავშირში 25 ტექნიკუმი, 10 მწვრთნელთა სკოლა და პედაგოგიურ სასწავლებლებთან მოქმედი ფიზიკური აღზრდის 69 განყოფილება ყოველწლიურად ასეულობით ახალგაზრდა სპეციალისტს ამზადებს.

ამ საქმეში საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. ჯერ კიდევ 1933 წელს თბილისში გაიხსნა ფიზიკური კულტურის ტექნიკუმი, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა ფიზკულტურული კადრებით რესპუბლიკის უზრუნველყოფაში.

ვისაც კარგად ახსოვს თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმის საქმიანობა, ალბათ ყველა დაგვეთანხმება, რომ კონტინგენტის საკითხი მისთვის პრობლემა არასდროს ყოფილა. პირიქით, მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდებოდა საკმაოდ დიდი კონკურსის საფუძველზე. მოსწავლეთა 80 პროცენტზე მეტი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან იყო ჩამოსული.

არც კურსდამთავრებულთა სამუშაოდ განაწილება ჭირდა. ახალგაზრდები სიამოვნებით მიდიოდნენ ფიზკულტურის მასწავლებლებად რაიონებში და სოფლებში. აღარას ვამბობთ სპორტულ მუშაობაზე. ამ ტექნიკუმში აიდგეს ფეხი გამოჩენილმა სპორტსმენებმა და ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზატორებმა ო. აბუაშვილმა, გ. კარტოზიამ, ვ. ილურიძემ, გ. შარაშიძემ, ვ. ფაშაკიძემ, ვ. ფოფხაძემ, ო. კანდელაკმა და სხვ.

ტექნიკუმს არც მატერიალური ბაზების მხრივ უჭირდა. ეს იყო კარგი სასწავლო დაწესებულება თავისი კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკითა და საკლასო ოთახებით, მის განკარგულებაში მყოფი სტადიონით და სპორტული დარბაზით. მაგრამ ეს ყველაფერი ერთი ხელის მოსმით გაუქმდა, დაიხურა. როგორც დღეს ხშირად აღნიშნავენ, სტადიონი გაპარტახების პირამდე მივიდა. ყოფილი ტექნიკუმის საკლასო ოთახები და კაბინეტ-ლაბორატორიები ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუზეუმმა დაიკავეს. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ასეთი დიდი ისტორიის მქონე სპორტული კერის ტერიტორიაზე საამქროები და სახელოსნოები გაიხსნა, მოსწავლეთა სასადილო ბახუსის მოყვარულთა თავშესაფრად გადაიქცა. სხვათა შორის, ხანდახან ამ სასადილოს ქლეხის მოსაწყობადაც კი იყენებენ.

ტექნიკუმი 1957 წელს გაუქმდა, მაგრამ იმავე წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან მწვრთნელთა სკოლა გაიხსნა. საკითხავია, თუ მწვრთნელთა სკოლის გახსნას ვაპირებდით, მაშინ რაღა საჭირო იყო მშვენივრად მოწყობილი ტექნიკუმის დახურვა, რაღა საჭირო იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის შევიწროება, რომლის შენობაც 450 კაცისთვისაა გათვალისწინებული, მაგრამ მაშინ უკვე 800-ზე მეტ სტუდენტს ემსახურებოდა? მწვრთნელთა სკოლის მოსწავლეთა ჩათვლით ახლა იქ 1200-ზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს.

სკოლა მეორე წყებაში მუშაობს 15-დან 21 საათამდე, ვინაიდან მანამდე ყველაფერი, სააქტო დარბაზიც კი (ლექციები ტარდება), ინსტიტუტს აქვს დაკავებული. სკოლა მოსწავლეთა კრებებსაც ვერ ატარებს. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მას არა აქვს გეოგრაფიის, ისტორიის, ლიტერატურისა და სამხედრო სწავლების კაბინეტები, არა აქვს სამასწავლებლო, რის გამოც მასწავლებლები გაკვეთილის დაწყებამდე და შესვენების დროს დერეფანში არიან ატუზული. პოლიტაღმზრდელობითს და კულტმასობრივ მუშაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მწვრთნელთა სკოლამ თავისი არსებობის 15 წლის მანძილზე, ისევე როგორც მისმა წინამორბედმა, გარკვეული ღვაწლი დასდო რესპუბლიკისთვის კადრების მომზადების საქმეს. მისი აღზრდილები დღეს წარმატებით მოღვაწეობენ როგორც ჩვენი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში, ისე მის გარეთაც, მთელს სსრ კავშირში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მწვრთნელთა სკოლამ წარმატებით შეასრულა თავისი მისია და ახლა საჭიროა მისი რეორგანიზაცია. გადის წლები და სკოლაში მოსწავლეთა ხარისხობრივი მაჩვენებლები სულ უფრო უარესდება (ჩვენ მხედველობაში გვაქვს სპორტული მომზადების დონე). მართალია, აბიტურიენტს მოქმედი მეორე თანრიგი მოეთხოვება, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ამ თანრიგის სპორტსმენები იმდენად სუსტნი არიან, რომ ძნელია მათგან თუნდაც სამ წელიწადში კვალიფიციური მწვრთნელი მომზადდეს (ხაზს ვუსვამთ: მწვრთნელი და არა მასწავლებელი).

გვიჭირს კურსდამთავრებულთა სამუშაოდ განაწილებაც. ახალგაზრდა სპეციალისტების გამანაწილებელ კომისიას თითქმის არა აქვს მწვრთნელის ადგილები. ისე რომ, კურსდამთავრებულთა დაახლოებით 80 პროცენტი იძულებულია თვითონ ეძებოს სამსახური. თუ თავად კურსდამთავრებული მოიტანს მოთხოვნას რომელიმე დაწესებულებიდან, ხომ კარგი. მართალია, ზოგჯერ არის ფიზკულტურის მასწავლებლის ვაკანტური ადგილები, რომელთაგან თითქმის ნახევარზე მეტი არასრულ საშუალო სკოლებზე მოდის, სადაც ძირითადად საშუალო სპეციალური განათლების მქონენი უნდა მუშაობდნენ, მაგრამ აქ ჩვენ ვაწყდებით სავსებით კანონიერ წინააღმდეგობას განათლების სამინისტროს მხრივ. საქმე ის არის, რომ სასწავლო გეგმაში 1973 წლამდე გათვალისწინებული არ გვქონდა პედაგოგიური პრაქტიკის გავლა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ჩვენი კურსდამთავრებულები სკოლას არ იცნობენ და ამიტომ სამინისტროს წინააღმდეგობაც სავსებით გასაგებია.

გამოდის, რომ კადრებს ვამზადებთ, სახელმწიფო სახსრები იხარჯება, კურსდამთავრებულებს კი დანიშნულების მიხედვით ვერ ვიყენებთ.

მომავალში საშუალო სპეციალური განათლების მქონე ფიზკულტურული კადრების მომზადების სრულყოფისთვის საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლა გადაკეთდეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის ტექნიკუმად, რომელსაც ექნება სამი განყოფილება. პირველი მოამზადებს ფიზკულტურის მასწავლებლებს დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლებისთვის. აქვე მოსწავლე გოგონები მიიღებენ დამატებით აღმზრდელის სპეციალობას, სკოლამდელ დაწესებულებებში სამუშაოდ. მეორე განყოფილება მოამზადებს ტანვარჯიშის მეთოდისტებს საწარმოებისთვის. აქ მოსწავლეები დამატებით მიიღებენ ფიზიკური კულტურის ინსტრუქტორის სპეციალობას. მესამე, დაუსწრებელი განყოფილება მოამზადებს მწვრთნელებს შერჩევით, ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნების მიხედვით. ამ განყოფილებაზე მხოლოდ მოქმედი მწვრთნელები მიიღებიან.

შეიძლება ზოგიერთმა იკითხოს: ყოველივე ეს ხომ არ იქნება ნაბიჯი უკან, ხომ არ ვაუბრალოებთ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტის ღირსებას? რასაკვირველია, არა. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში დიდი ყურადღება ეთმობა კადრების, განსაკუთრებით კი საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრების მომზადებას. ამ გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს არაერთი დადგენილება და სადირექტივო მითითება აქვთ მიღებული.

არის ცალკეული სამუშაო უბნები, სადაც ყველაზე მეტად საშუალო განათლების მქონე სპეციალისტები გვჭირდება. მაგალითად, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტად თამამად შეიძლება საშუალო სპეციალური განათლების მქონემ იმუშაოს. თუ გნებავთ, ამას შეიძლება ფიზკულტურის ინსტრუქტორის მოვალეობაც დაემატოს.

რაც შეეხება სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელთა უკეთ მომზადების მიზნით დამატებითი სპეციალობების შემოღებას, ჩვენი აზრით, ეს სავსებით დროულია. დღეს უკვე საჭიროა დაისვას საბავშვო ბაგა-ბაღებში ფიზიკური აღზრდის აღმზრდელ-მასწავლებლის საშტატო ერთეულის შემოღების საკითხი.

რაც შეეხება ფიზკულტურის ინსტრუქტორის დამატებით სპეციალობას საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტებისთვის, იგი საჭიროა იმიტომ, რომ ხშირად საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეთოდისტები მთელს მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობასაც ხელმძღვანელობენ.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ეს რეორგანიზაცია არავითარ ფინანსურ დაბრკოლებებთან არ არის დაკავშირებული. ტექნიკუმი გაიხსნება არსებული მწვრთნელთა სკოლის ფინანსურ ბაზაზე. რაც შეეხება მატერიალურ ბაზას (შენობა, დარბაზები, მოედნები), მწვრთნელთა სკოლის 300-კაციანი კოლექტივი თხოვნით მიმართავს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას — დაუბრუნდეს მას ყოფილი ადგილსამყოფელი.

ა. ნემსაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლის დირექტორი.

„ლელო" წერილების კვალდაკვალ

„სამშენებლო შედევრი კულაშში"

ამ სათაურით „ლელოს" ფურცლებზე 27 თებერვალს დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო კულაშის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ტექნიკუმის სპორტდარბაზის მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ი. ხარატიშვილმა გვაცნობა, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. სამინისტროს კოლეგიამ 9 მარტს ეს საკითხი განიხილა და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საკითხის მოსაგვარებლად.

ბუშიან...

გაიმართა XXXV საკავშირო ჩემპიონატის I ტური. აი, ზოგიერთი მატჩის შედეგები: „დინამო" (თბილისი) — „ზარია". ძირითადი დრო — 1:1 (მ. მაჩაიძე, ვ. კუზნეცოვი), პენალტები — 4:2, საბოლოოდ — 5:3; „ყაირათი" — „დინამო" (მოსკოვი) 1:0; „ფახთაქორი" — „ტორპედო" 1:2; „შახტიორი" — „სპარტაკი" 2:1; „არარატი" — „დინამო" (კიევი) 3:1.

სსრ კავშირის XXXV პირველობა

წარმატებას გისურვებთ

ხვალ იწყება „ა" კლასის I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშება. ბრძოლაში ებმება 20 გუნდი. ყველას თავისი საზრუნავი აქვს. ბევრი გუნდი უწინ უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა და, ბუნებრივია, შეეცდება კვლავ დაიბრუნოს ადგილი უძლიერესთა შორის, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც იბრძოლებს სწორედ I ლიგაში თამაშის უფლების შენარჩუნებისთვის.

ჩვენს გაზეთში ამას წინათ გამოქვეყნებული იყო ქუთაისის „ტორპედოს" უფროსი მწვრთნელის ა. ნორაკიძის ინტერვიუ. ქუთაისელთა კოლექტივი წლეულს განსაკუთრებული სიძნელეების წინაშე დგას. როგორც ვიცით, შარშან გუნდის შემადგენლობაში მიწვეული იყო ხანგადასულ მოთამაშეთა დიდი ჯგუფი სხვადასხვა ქალაქიდან. ბუნებრივია, მათ ვერ გაამართლეს დაკისრებული ამოცანა და წავიდნენ „ტორპედოდან". ამის შედეგად ქუთაისის გუნდი დღეს სავსებით განახლებულ, ახალგაზრდულ კოლექტივს წარმოადგენს. ამ ახალგაზრდებმა გუნდის ძველ, გამობრძმედილ ვეტერანებთან ერთად უნდა იბრძოლონ, რომ კოლექტივმა სახელოვანი ტრადიციები შეინარჩუნოს და შემდგომში ტორპედოელები კვლავ ვიხილოთ უმაღლეს ლიგაში გადასვლის რეალურ კანდიდატთა შორის.

ვუსურვებთ ქუთაისელ ფეხბურთელებს წარმატებებს!

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

ქუთაისელთა კოლექტივი ციფრებში

ქუთაისის „ტორპედო" ამ სახელწოდებით 1959 წლიდან არსებობს. მატჩებს ატარებს ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე (30 ათასი ადგილი), იცავს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის სპორტული კლუბის „კოლხეთის" ღირსებას. შეცვალა მანამდე „ბ" კლასში მოთამაშე ქუთაისის გუნდები: „დინამო" (1949 წ.) და „ლოკომოტივი" (1957-58 წ.წ.).

უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა 1962-1970 წლებში, სადაც მისი საუკეთესო მიღწევა იყო XII ადგილი (1963 წ.), ხოლო ყველაზე უარესი — XIX ადგილი (1968 წ.).

1962 წელს გუნდმა დაიმსახურა „სამართლიანი თამაშისთვის" დაწესებული პრიზი.

ტორპედოელებმა ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს 1965 წელს თავიანთ მინდორზე ტაშკენტის „ფახთაქორთან" — 4:0, ხოლო ყველაზე დიდი ანგარიშით (0:7) დამარცხდნენ 1964 წელს დონის როსტოვში ასკ-სთან და 1966 წელს ბაქოში „ნეფთჩისთან".

ყველაზე მეტი შეხვედრა გუნდის შემადგენლობაში ჩაატარა მცველმა ი. ლოსაბერიძემ (201 თამაში).

გუნდის საუკეთესო ბომბარდირს ჯ. ხაჟალიას გატანილი აქვს 47 გოლი.

ერთ სეზონში გატანილი ბურთების მიხედვით რეკორდსმენია ჯ. ხერხაძე (1969 წ. — 16 ბურთი).

სსრ კავშირის პირველ ნაკრებში გამოდიოდა ორი ფეხბურთელი: რ. ურუშაძე — ორი თამაში, ს. კუტივაძე — ერთი მატჩი.

უმაღლეს ლიგაში საკავშირო პირველობაზე ჩატარებული 307 თამაშიდან გუნდმა მოიგო 74, წააგო 142 და ფრედ დაამთავრა 91 (ამ ციფრებში შედის ტაშკენტში 1964 წელს გორკის „ვოლგასთან" ჩატარებული დამატებითი მატჩის შედეგიც — 4:2 „ტორპედოს" სასარგებლოდ).

„ტორპედომ" შინ მოიგო 56 თამაში, სტუმრად კი მხოლოდ 18. შინ ფრედ დაამთავრა 61 შეხვედრა, სტუმრად — 30.

დიდი ანგარიშით ტორპედოელებმა ქუთაისში გაიმარჯვეს 9-ჯერ, სტუმრად კი 2-ჯერ (1962 წელს მოსკოვში „ლოკომოტივთან" და ვილნიუსში „ჟალგირისთან", ერთნაირი ანგარიშით — 3:0).

ტორპედოელებმა შინ წააგეს 35 თამაში, სტუმრად კი 107.

ქუთაისელებმა შინ გაიტანეს 179 გოლი, მეტოქეთა მინდვრებზე კი 87.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1965-1966 წლებში „ტორპედომ" ქუთაისის გარეთ ვერც ერთი თამაშის მოგება ვერ შეძლო, აიღო რა შესაბამისად 1 და 4 ქულა ნულოვანი ფრეების წყალობით.

უმაღლეს ლიგაში ტორპედოელებმა დადებით ბალანსს მიაღწიეს რვა გუნდთან, დანარჩენებთან კი უარყოფითი ბალანსი აქვთ.

ჯ. ჩაჩავა.

საგანაცხადო სია

„ტორპედო" (ქუთაისი)

უფროსი მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. ნორაკიძე, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი დ. ჟვანია.

მეკარეები

რ. ბერიძე (1948), კვერნაძე (1956).

მცველები

სპ. ოსტ. რ. ჭოხონელიძე (1948), სპ. ოსტ. ა. წვერავა (1945), სპ. ოსტ. ბ. ფრიდმანი (1945), სპ. ოსტ. ზ. მაზიაშვილი (1946), გ. აბზიანიძე (1948), ლ. ბუძიშვილი (1951), მ. ქუთათელაძე (1952), ო. ბერულავა (1953).

ნახევარმცველები

შ. ოქროპირიშვილი (1950), გ. შელია (1953), მ. ჩახუნაშვილი (1951), რ. ნაჭყებია (1948), რ. ჭოლაძე (1948), დ. ქვირია (1951), ბ. ფარულავა (1954).

თავდამსხმელები

სპ. ოსტ. ჯ. ხერხაძე (1945), რ. ფესტვენიძე (1952), ზ. გაგუა (1954), რ. ცირეკიძე (1950).

საგანაცხადო სია

„დინამო" (თბილისი)

გუნდის უფროსი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ჩხატარაშვილი, უფროსი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ა. კოტრიკაძე, მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ს. კოტრიკაძე.

მეკარეები			
სპ. ოსტ. დ. გოგია	1948	58	—
თ. ჩლაიძე	1947	2	—
მცველები			
სპ. ოსტ. რ. ძოძუაშვილი	1945	213	4
სპ. ოსტ. ვ. ჭელიძე	1945	160	2
სპ. ოსტ. ფ. კანთელაძე	1949	83	—
სპ. დამს. ოსტ. მ. ხურცილავა	1943	255	11
სპ. ოსტ. ზ. ებრალიძე	1944	177	—
სპ. ოსტ. შ. ხინჩაგაშვილი	1951	47	—
სპ. ოსტ. გ. გოგიჯანაშვილი	1949	7	—
ნ. ხიზანიშვილი	1953	—	—
ნახევარმცველები			
სპ. ოსტ. მ. მაჩაიძე	1949	79	8
სპ. ოსტ. გ. პეტრიაშვილი	1941	274	13
სპ. ოსტ. კ. ასათიანი	1947	158	23
სპ. ოსტ. ს. კუტივაძე	1944	247	22
სპ. ოსტ. ბ. მჭედლიშვილი	1949	32	4
ა. ჯინჭარაძე	1953	—	—
გ. მაჩაიძე	1950	—	—
თავდამსხმელები			
სპ. ოსტ. გ. გავაშელი	1947	136	46
სპ. ოსტ. გ. ნოდია	1948	203	70
სპ. ოსტ. ლ. ნოდია	1949	90	11
სპ. ოსტ. დ. ყიფიანი	1951	51	9
სპ. ოსტ. ვ. გუცაევი	1952	38	8
ფ. რეხვიაშვილი	1951	24	4
ზ. წერეთელი	1953	—	—

შენიშვნა: პირველ სვეტში აღნიშნულია დაბადების წელი, მეორეში უმაღლეს ლიგაში ნათამაშევი მატჩების რაოდენობა, მესამეში — ამ მატჩებში გატანილი გოლები.

მოზარდთა რესპუბლიკური ტურნირი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„დინამო" (ბათუმი)	8	5	3	0	13
„ტორპედო" (ქუთაისი)	7	5	1	1	11
გან. განყ. (თბილისი)	6	5	1	0	11
„დინამო" (თბილისი)	7	5	1	1	11
ახ. საფ. სკოლა (თბილისი)	7	4	2	1	10
„ავაზა" (თბილისი)	7	3	3	1	9
„დილა" (გორი)	7	3	2	2	8
„გურია" (ლანჩხუთი)	7	3	1	3	7
ახ. საფ. სკოლა (თელავი)	8	3	1	4	7
„კოლხეთი" (ფოთი)	7	2	2	3	6
„სპორტინტერნატი" (თბილისი)	6	3	0	3	6
„მერცხალი" (მახარაძე)	7	1	4	2	6
„განთიადი" (თბილისი)	5	2	1	2	5
„დინამო" (სოხუმი)	7	2	1	4	5
ახ. საფ. სკოლა (გაგრა)	8	0	4	4	4
მწვრთნ. სკოლა (თბილისი)	8	0	3	5	3
„მეტალურგი" (რუსთავი)	8	0	3	5	3
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	6	0	1	5	1

საფეხბურთო ანდაზები

✦ მეკარემ თქვა, შინ კარდია მასპინძელს მეძახიან, მინდორზე კი პირიქით მინდა ვიყოო.

✦ თავდამსხმელი თავდადებით თამაშობდა, მცველი კი ფეხდადებითო.

✦ მსაჯმა თქვა: მსაჯს იმიტომ კი არ მეძახიან, ჩემი ნამოქმედარი განსაჯონ და მერე დამსაჯონო.

✦ მაყურებელმა მსაჯი გააფრთხილა: მე არა მარტო ვუყურებ, არამედ ვხედავ კიდეცო.

გიორგი შეთეკაური.

საიუბილეო გოლი.

ნ. ქელეხსაშვილის ნახატი.

არც ერთი ყაიმი!

ორიოდე დღის წინ თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, სტარტი აიღო მოშაშე ქალთა რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა. ტურნირში მონაწილეობენ ოსტატი თ. გამხიტაშვილი, ოსტატობის კანდიდატი ლ. ზოლოტუხინა, პირველთანრიგოსნები მ. მლებრიშვილი, მ. ჩიქვილიძე, გ. ჭკადუა, ე. შველოვა, თ. გიგაშვილი, ნ. დოლბაია (ყველა — თბილისი), მ. ავალიშვილი, მ. გაბათაშვილი (ორივე — გარდაბანი), ლ. ფინიკოპულო (ფოთი). უკონკურსოდ თამაშობს მოლდაველი ნ. პაშკანიანუ.

ოთხი ტურის შემდეგ დაწინაურდნენ გამხიტაშვილი, დოლბაია — 4-4 ქულა, ზოლოტუხინა — 3 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია. ჩანს, ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლა სწორედ ამ მოშაშეთა შორის გაჩაღდება.

სტარტზე საოცრება მოხდა: გათამაშებულ 24 პარტიაში ყაიმით ერთიც არ დამთავრებულა. სწორედ ეს მიუთითებს, რომ ტურნირი ძლიერი შემადგენლობისა არ არის. საბუთად ისიც კმარა, რომ სარბიელზე ვერ ვხედავთ საქართველოს ოთხგზის ჩემპიონს, ოსტატობის კანდიდატ ი. ტყაბლაძეს (ქუთაისი) და საქართველოს ჩემპიონს ე. ბურჯალიანს (თელავი).

„სპორტლოტოს" მოყვარულთა საყურადღებოდ!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტული ლატარიის მთავარმა სამმართველომ „სპორტლოტოს" სპეციალური ანკეტა გამოუშვა. ანკეტის პირველ გვერდზე მოკლედ ლაპარაკია ამ თამაშის მნიშვნელობაზე, ხოლო მეორე გვერდზე დაბეჭდილია კითხვები, რომლებზეც პასუხი უნდა გასცეთ.

ანკეტის ძირითადი მიზანია „სპორტლოტოს" მოყვარულთა აზრისა და სურვილების გაგება, რაც დაგვეხმარება ამ თამაშის შემდგომ გაუმჯობესებაში.

სპეციალური ანკეტები შეგიძლიათ უფასოდ მიიღოთ „სპორტლოტოს" ბარათების საზოგადოებრივი გამავრცელებლებისგან.

საქართველოს ზონალური სამმართველო სთხოვს ლატარიის მოყვარულებს დროულად მიიღონ სპეციალური ანკეტები, ყურადღებით გასცენ პასუხი კითხვებზე და არა უგვიანეს 20 აპრილისა ჩაუშვან „სპორტლოტოს" სპეციალურ ყუთებში.

გ. ფაილოძე,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორი.

დინამოელ ქალთა ჩემპიონატი

„დინამოს" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი მუდამ ძლიერი შემადგენლობისაა და ამიტომ ბრძოლაც საინტერესოა. ეს ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა: თბილისში ჩამოვიდნენ საერთაშორისო ოსტატი ო. იგნატიევა (მოსკოვის ოლქი), ოსტატი ნ. ტიტორენკო, ოსტატობის კანდიდატები თ. სტეპანოვა (ორივე — მოსკოვი), ლ. გოლდმანი (ტაშკენტი), ე. ალიევა (ბაქო), ი. ოსტრი (კიევი), პირველთანრიგოსნები ი. ვეველე (რიგა) და ხ. კივირიუიტე (ტალინი). მასპინძლებმაც კარგი მოთამაშეები გამოიყვანეს: ოსტატი ც. კობაიძე, ოსტატობის კანდიდატები ს. კალანდარიშვილი, მ. წერეთელი, მ. ჩიბურდანიძე და პირველთანრიგოსანი მ. ლოლიშვილი.

საინტერესოა, რომ ზოგიერთი მონაწილე (მაგალითად, კობაიძე, ოსტრი, კალანდარიშვილი, ლოლიშვილი) „დინამოს" ჩემპიონი უწინაც ყოფილა და ახლაც თავდადებით თამაშობს. ბრძოლის სიმწვავეს ისიც განაპირობებს, რომ გამარჯვებული საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალის საგზურს მიიღებს.

ორი ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდეს იგნატიევამ და გოლდმანმა — 2-2 ქულა. პირველმა ვევერესა და ტიტორენკოს მოუგო, მეორემ — კივირიუიტესა და ლოლიშვილს.

ლიდერებს კვალში ჩაუდგა 12 წლის ჩიბურდანიძე — 1,5 ქულა. დიდი ბრძოლა ჰქონდა მას კობაიძესთან. ეს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა 47-ე სვლაზე. მეორე დღეს მაიამ კარგ სტილში სძლია ესტონელ კივირიუიტეს.

კობაიძემ მეორე შეხვედრა კალანდარიშვილთან ყაიმით დაამთავრა, კალანდარიშვილი კი სტეპანოვასთან დამარცხდა. წერეთელმა I ტურში ალიევასთან წააგო, მეორეში კი ვევერეს სძლია.

ბრძოლა გრძელდება. მონაწილენი ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ყოველდღე (21 აპრილამდე) თამაშობენ, გარდა 10 და 15 აპრილისა. დასაწყისი 16 ს.

თ. ნინოშვილი.

ჭადრაკი

გიორგი გეგეჭკორი და „საუკუნის მატჩი“

ვისაც უნახავს ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ექიმი ფეხბურთზე მიდის“, ვერასოდეს დაივიწყებს მის მთავარ მოქმედ გმირს — ქირურგ იმედაძეს. იმედაძეს უანგაროდ უყვარს თავისი სპეციალობა და ფეხბურთი. სწორედ ასევე უანგაროდ ეტრფის თავის პროფესიას და ფეხბურთს ქირურგის როლის შემსრულებელი გიორგი გეგეჭკორი.

— დიახ, ფეხბურთი გეგეჭკორის ჰობია, — გვიამბობს ბატონი გიორგის კოლეგა ეროსი მანჯგალაძე და გაყვითლებულ ფოტოს გვიჩვენებს, რომელზეც რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობ ფეხბურთელთა კოლექტივია გადაღებული თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გუნდთან მატჩის წინ. — მეტოქე ამ შეხვედრამდე დამარცხებული გვყავდა და, ცხადია, ახლა რევანშზე ფიქრობდა. ამიტომ ამ პრინციპულ შეხვედრას ხუმრობით „საუკუნის მატჩი“ ვუწოდეთ. სამწუხაროდ, წელი მეხსიერებაში არ შემომრჩა, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ ანგარიშით 3:1. ერთ-ერთი გოლი სწორედ გეგეჭკორმა გაიტანა.

ჩვენს საუბარს „საუკუნის მატჩის“ სხვა მონაწილეებიც ესწრებოდნენ. მათ ბევრი საინტერესო ეპიზოდი მოიგონეს. გაიხსენეს ისიც, რომ ჭაბუკობის წლებში გეგეჭკორი უფრო კარგად თამაშობდა კალათბურთს. 1945-48 წლებში რუსთაველის სახელობის თეატრის გუნდი ერთ-ერთი უძლიერესი იყო რესპუბლიკაში, 1947 წელს კი გეგეჭკორი თავის მშობლიურ გუნდთან ერთად საქართველოს ჩემპიონატში საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა.

მოგონების დასასრულს მანჯგალაძემ ნახევრად ხუმრობით თქვა:

— დაწერეთ, დაწერეთ, რომ გეგეჭკორი საუკეთესო ვეტერანი სპორტსმენია მსახიობთა შორის და საუკეთესო მსახიობი — ვეტერან სპორტსმენებში. თუმცა, რატომ ვეტერანი? იგი ჩვენს შორის დღესაც ახალგაზრდული შემართებით, ყველაზე უკეთ თამაშობს... მაგიდის ჩოგბურთს.

— მართალია, დღეს აღარც ფეხბურთს ვთამაშობ, აღარც კალათბურთს, მაგრამ ჯანმრთელობისა და „სცენური ფორმის“ შენარჩუნებისთვის მაგიდის ჩოგბურთს მივმართე, — გვითხრა გიორგიმ.

... ვიდრე წერილის დასაწყისში ნახსენები ფილმის გადაღება დაიწყებოდა, გეგეჭკორი ქირურგიული განყოფილების ხშირი სტუმარი იყო, რათა უკეთ განეხორციელებინა თავისი მომავალი გმირის — იმედაძის სახე. როცა რუსთაველის სახელობის თეატრში კ. ბუაჩიძის პიესა „ამბავი სიყვარულისა“ დაიდგა, გეგეჭკორს ფიზკულტურის ინსტიტუტის ლექტორის, მწვრთნელ ექვთიმე ქათამაძის სახის შექმნისთვის დიდი ჯაფა როდი დასდგა — ეს სფერო მისთვის ხომ, ასე ვთქვათ, მშობლიური გახლდათ.

ხვალ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოება და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გიორგი გეგეჭკორის დაბადების 50 წლისთავს აღნიშნავენ.

„ლელოს“ რედაქცია ულოცავს ჩვენს სახელოვან მსახიობს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და სცენაზე „სპორტული ფორმის“ შენარჩუნებას უსურვებს მრავალი წლის მანძილზე.

ა. ბურახაშვილი.

• • •



სურათებზე: გ. გეგეჭკორი მწვრთნელ ექვთიმე ქათამაძის როლში; „დინამოს“ სტადიონზე „საუკუნის მატჩის“ დაწყებამდე (გ. გეგეჭკორი — მარცხნიდან მეექვსე).

„პიონერი“ ელის ევროპის მოკრივეებს

იუგოსლავიის დედაქალაქის სპორტის მოყვარულებმა წლეულს ახალი მარშრუტი უნდა შეისწავლონ. აქამდე ბელგრადელების საქმე უფრო კარგად იყო. თუ ფეხბურთელთა მატჩი ტარდებოდა, ან „ცრვენა ზვეზდას“ სტადიონზე მიდიოდნენ, ან „იუნას“ სტადიონზე, ან კარაბურმაზე. რაც შეეხება ფრენბურთს, კალათბურთსა და კრივს, ეს სახეობები ძირითადად ბელგრადის ახალი რაიონის სპორტის სასახლეში ტარდებოდა. ახლა დიდი ხნის ნაცნობ მარშრუტებს კიდევ ერთი დაემატა: პალილულის თემი...

ბელგრადის ამ რაიონში დუნაისა და რუზველტის ქუჩას შუა ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს. დილიდან საღამომდე არ წყდება მანქანების ხმაური. აქ შენდება დედაქალაქში საუკეთესო სპორტის სასახლე, რომელსაც უკვე აქვს სახელი — „პიონერი“.

ახალი სასახლე, რომლის მშენებლობაც მაისში უნდა დამთავრდეს, პალილულის თემის დიდი სპორტული კომპლექსის პირველი ობიექტი იქნება. 1973 წლის 1 ივნისს აქ უნდა დაიწყოს ევროპის მოკრივეთა XX ჩემპიონატი.

ახალი სასახლე ოთხსართულიანი შენობაა. მთავარ დარბაზში ტრიბუნები 7 ათასამდე მაყურებელს იტევს. იქვეა სამი საწვრთნელი დარბაზი, სამედიცინო ცენტრი და ფინური აბანო. ჩემპიონატზე ჩამოსული ჟურნალისტებისთვის მზადაა პრეს-ცენტრი — 36 ჯიხური კომენტატორებისთვის ცალკე სატელევიზიო ცენტრით.

შარშან გაზაფხულზე მომავალი სასახლის მშენებლობის ადგილზე ვიყავი. მაშინ ჩემს თვალწინ გადაიშალა ვრცელი, დაბალი ბუჩქნარით დაფარული ველი. ახლა აქ უკვე დგას ახალი სასახლის კარკასი, რომლის პროექტიც არქიტექტორებმა დრაგოლიუბ და ლილიანა ზაკიჩებმა დაამუშავეს. თუმცა მანამდე დიდი დრო აღარ დარჩა, მშენებლები ამბობენ, რომ შენობა სწორედ დათქმული თარიღისთვის გაიხსნება.

თუ შეჯიბრების მომწყობებისთვის სასახლის აგება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, იუგოსლავიის ნაკრები გუნდის დაკომპლექტების საკითხი ჯერ კიდევ გადასაჭრელია. მაგალითად, იანვრის ბოლოს გაზეთმა „პოლიტიკამ“ გამოაქვეყნა შენიშვნა სათაურით „პარლოვი, ბელიჩი, ვუიჩი, მაგრამ დანარჩენები?“. თვით ეს სათაური მოწმობს, რომ, მსოფლიოში ცნობილი სამი სპორტსმენის გარდა, ჯერ კიდევ არ იციან ნაკრებში ადგილებს ვინ დაიკავებს. არც ლიდერები არიან მაინცდამაინც სტაბილურ ფორმაში.

მაგალითად, თუ ევროპის პირველობის ვერცხლის პრიზიორმა ს. ბელიჩმა შეძლო ძნელ ორთაბრძოლაში ბელგრადში გამართულ ტურნირში ტრადიციული პრიზის „ოსკარის“ მოგება, ოლიმპიური ჩემპიონი მ. პარლოვი ამ შეჯიბრებაში მარცხს ძლივს გადაურჩა.

იუგოსლაველი კრივის სპეციალისტები მაინცდამაინც ვერ გაახარა პოლონეთის ნაკრებთან გამარჯვებამაც კი (პირველად 12 წლის მანძილზე) — 8:2. „გუნდის ყველა წევრმა ქება დაიმსახურა ამ წარმატებისთვის, — წერდა გაზეთი „პოლიტიკა“, — მაგრამ შედეგს ფხიზელი თვალით უნდა შევხედოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლონეთის ნაკრებში ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონატის სულ ორი დიდოსტატი იყო (ბლაჟინსკი და შჩეპანსკი), აგრეთვე, ერთი ვეტერანი — დრაგანი. დანარჩენები ნაკლებად ცნობილი მოკრივეები არიან, რომლებიც ახლა გამოდიან ევროპისა და მსოფლიო სარბიელზე. თუ ამას დავუმატებთ, რომ ვუიჩს მსაჯებმა გაამარჯვებინეს შჩეპანსკისთან, უნდა ვთქვათ, რომ შეხვედრის ბალანსი არც ისე შთამბეჭდავია. მართალია, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — ზრენიანინის რინგზე ოლიმპიური ჩემპიონი პარლოვი გაცილებით უფრო დამაჯერებლად მოქმედებდა, მაგრამ მან ალბათ ბელგრადში ნაწვნევი მარცხიდან გამოიტანა დასკვნები“.

იუგოსლავიის ნაკრების დანარჩენი წევრებიდან გაზეთები გამოყოფენ ბენეშს (წონა 63,5 კგ-მდე), რომელმაც სტაბილური ოსტატობა გამოავლინა, და 18 წლის პეტროვიჩს (54 კგ-მდე). ახალგაზრდა მოკრივემ შეძლო პოლონელი პროხონიასთვის თავს მოეხვია ბრძოლის საკუთარი მანერა, რომელმაც მას დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა.

ახლა რინგის მასპინძლებისთვის მთავარია, ისე დაგეგმონ მზადება, რომ ევროპის ჩემპიონატისთვის საუკეთესო ფორმას მიაღწიონ.

ა. პოლეხინი.
(საკუთარი კორ.).

ბელგრადი — მოსკოვი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

10 აპრილს

საქართველოს ალპიურ კლუბში ჩატარდება ლექცია-სემინარი თემაზე: „მთამსვლელობის განვითარების ისტორია, საბჭოთა მთამსვლელობა და მისი მნიშვნელობა“.

ლექციას წაიკითხავს სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ობოლაძე.

დასაწყისი 19 ს.

თბილისის სპორტულ ბაზრობა

ფარფლებითა და წყალქვეშ ცურვა. საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის სპორტკომბინატის აუზი (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ა). 8-9 აპრილი. საერთაშორისო შეჯიბრება სსრ კავშირის, უნგრეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიისა და საქართველოს გუნდების მონაწილეობით. დასაწყისი 10 და 16 ს.

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 8 აპრილი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ასკ (თბილისი). დასაწყისი 12 ს. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ქართლი“ (გორის რაიონი). 16 ს. მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სპორტინტერნატი“ (თბილისი). 14 ს. „ისნის“ სტადიონი. „განთიადი“ (თბილისი) — „ავაზა“ (თბილისი). 16 ს.

თბილისის სპორტულ ბაზრობა

რაიონების სპორტული

✦ კასპი

სოფელ დოესის საშუალო სკოლაში გაიმართა მაგიდის ჩოგბურთელთა გუნდური შეხვედრა საკოლმეურნეო და სასკოლო კოლექტივებს შორის. გაიმარჯვეს კოლმეურნეობის სპორტსმენებმა. ჩატარდა, აგრეთვე, პირადი პირველობა, რომელშიც ყველას აჯობა მოსწავლე გ. კოდანოვმა. II-III ადგილები დაიკავეს კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა ს. თათანაშვილმა და ვ. თაბუაშვილმა.

ვ. ტურაშვილი,
დოესის საშუალო სკოლის ალკკ ორგანიზაციის მდივანი.

• • •

აქ გაიმართა რაიონის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში ყველას აჯობა „კასპიელექტროაპარატის“ გუნდმა.

ლ. ელისაბედაშვილი.

მოჭადრაკეთა ჩემპიონატი... წყალქვეშ

ჭადრაკი

ამას წინათ მელბურნში ჩატარდა მოჭადრაკეთა შეჯიბრება... წყალქვეშ. ტურნირს ეწოდა მსოფლიო პირველობა წყალქვეშ ჭადრაკში. მყვინთავის აღჭურვილობით მორთული მონაწილენი და მსაჯები ფსკერზე დაეშვნენ. იქ უკვე მზად იყო ლითონის ჭადრაკი მაგნიტური დაფებით. მოჭადრაკეები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ასეთი იდეალური სიჩუმე არც ერთ ტურნირში არ ბლირსებიათ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
უე 08350